სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 22 0001040114

09/09/2022

სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამების სტუდენტებისათვის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო განრიგის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, “საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ბატონი ჰალილ გიუვენის 2022 წლის 08 სექტემბრის №SDSU 188-09-2022 წერილის საფუძველზე, 2022-2023 სასწავლო წლის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2022-2023 სასწავლო წლის სემესტრების აკადემიური რეგისტრაცია, სააუდიტორიო მეცადინეობები და გამოცდები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი) განხორციელდეს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის მიერ წარმოდგენილი აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში (იხ დანართი).
2. სემესტრის ბოლოს, არა უგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ოთხი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი შესაბამის

აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანატში რეგისტრირებული უწყისი არსებული წესის მიხედვით გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

3. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს, შესაბამისი სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ სამსახურებრივი ბარათები სემესტრის ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან